**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის**
**უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის**

**ოქმი №29**

**30 დეკემბერი 2016 წელი** **ქ. ბათუმი**
**12⁰⁰ საათი.**

**სხდომას თავმჯდომარეობდა** უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალაღონია.

**სხდომას ესწრებოდნენ:** გუგული დუაძე, სოფიო კახაძე და რამაზ გოლომანიძე.

**არ ესწრებოდნენ:** ზურაბ გოლიაძე და თორნიკე მჟავანაძე.

**მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

**დღის წესრიგის პროექტი:**

**1. განკარგულება**
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2017 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ;

**2. სხვადასხვა.**

**აზრი გამოთქვეს:** კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე 4;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 4 წევრი:)

**დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:**

**1. განკარგულება**
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2017 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ;

2. სხვადასხვა.

1. განკარგულება
**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2017 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.**

**მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2017 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის თანახმად, თავმჯდომარის წარდგინებით უსკოს მიერ დამტკიცებული უნდა იქნეს 2017 წლის მიმდინარე ხარჯები (ხარჯთაღრიცხვა), რის შემდეგ, სიტყვა გადასცა უსკოს ეკონომიკური სამსახურის უფროსს, ლევან სამნიძეს, კომისიისათვის დეტალურად გაეცნო უსკოს 2017 წლის ხარჯთაღრიცხვა.

ეკონომიკური სამსახურის უფროსმა, ლევან სამნიძემ, კომისიას დეტალურად გააცნო ყველა ის საკითხი რაც წარმოდგენილი იყო უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2017 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტში.

**აზრი გამოთქვეს:** კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2017 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე 4;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 4 წევრი:)

**განკარგულება მიღებულია:**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

**1.** დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2017 წლის ხარჯთაღრიცხვა დანართის შესაბამისად.

**2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

**3.** ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

*(თან ერთვის)*

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**კომისიის თავმჯდომარე** **პარმენ ჯალაღონია**

**კომისიის მდივანი** **სოფიო კახაძე**